



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011720717108420

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

303140

04 / სექტემბერი / 2020 წ.

ც ნ ო ბ ა

შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405249075) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.15.001.064) კორექტირების საკითხთან დაკავშირებით წერილობითი პოზიციის წარდგენის თაობაზე).

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში – „საჯარო რეესტრი“) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება თამაზ ტურაბაშვილის (პირადი ნომერი 01003002151) 2020 წლის 28 ივლისის № 257266/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882017894040-15 (02.07.2020 წ.) გადაწყვეტილების გაუქმება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

2017 წლის 26 სექტემბრის № 882017894040 სარეგისტრაციო განცხადებით თამაზ ტურაბაშვილმა (პირადი ნომერი 01003002151) მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქალაქ თბილისში, ზღვის უბანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

№882017894040 სარეგისტრაციო განცხადებაზე მომზადებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით გამოვლინდა ზედდება 01.12.15.001.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან (მესაკუთრე: შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარებას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405249075).

შპს „საპარტნიორო ფონდი - მწვანე განვითარებას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405249075) წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს წინამდებარე ცნობის საჯაროდ გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

დაევალოს ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე ცნობის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგ ბოხაშვილი